ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3984181

ნომერი: AR1600705

თარიღი : 14.05.2018

გაცემის თარიღი : 28.05.2018

გაცნობის თარიღი : 28.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა , N 32ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე კოტრიკაძე პ/ნ 01025001107
- თბილისი ს. დიღომი გრ.ხანძთელის 3 ჩიხი N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ.

თბილისში, სექტორი - დიდუბე, რაფაელ აგლაძის ქუჩა, N 32ა, ქალაქი თბილისი, ქუჩა აგლაძე, N 32, შპს „საქინვესტის“ და შპს „დიდუბის მარკეტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.13.05.004.252) სარეკლამო აბრების დემონტაჟს და დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის - სავაჭრო ობიექტის განთავსებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.05.004.252, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018418846 23/05/2018წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა, დანართი, ესკიზური ნახაზები, ტოპოგრაფიული გეგმა, იჯარის ხელშეკრულება) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, რაფაელ აგლაძის ქუჩა, N 32ა, ქალაქი თბილისი, ქუჩა აგლაძე, N 32, შპს „საქინვესტის“ და შპს „დიდუბის მარკეტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.13.05.004.252) სარეკლამო აბრების დემონტაჟს და დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის - სავაჭრო ობიექტის განთავსების შესაძლებლობას.

– სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა;

– ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მოწყობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.